№ 105 მაისი 21 სამშაბათი — 1891 — მაისი 21 სამშაბათი № 105

# ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877--1891 — 1877--1891

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ჯუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

ამ ნომერში რვა გვერდია

## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი აქ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

მეუღლენი გიორგი და მართა სიხარულიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა თავისის შვილის იასონისასა და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის დასაფლავებაზედ დაბა ხონს.

(3—1)

---

ბანკის თეატრში

ხუთშაბათს, 23 მაისს,

წარმოდგენილი იქმნება დრამა

„ტატიანა რეპინა“

დრამა ოთხ მოქ. სუვორინისა

ტატიანას როლს აასრულებს მ. ნ. ერმოლოვისა.

ოლენინას როლს — ა. ნ. ერმოლოვა — კრუზეტკოვისა.

დასაწყისი 8 საათზე.

---

პარასკევს, 24 მაისს,

„გროზა“

კატერინას როლს აასრულებს მ. ნ. ერმოლოვისა.

ბარბარესას — ა. ნ. ერმოლოვა — კრეჩეტკოვისა.

---

ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ცვარი

საყმაწვილო სურათებიანი ლექსთა კრებული შ. მღვიმელისა, გამოც. ელ. ტატიშვილის მიერ. სურათები და მორთულობა ამოსჭრა გრ. ტატიშვილმა.

ფასი 30 კაპ.

## ახალი ამბავი

*** კვირას, 19 მაისს, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა საზოგადო კრებაზედ, გუშინდელს ამბავში დასახელებულია: ისევე ამოირჩიეს უკენჭოდ ერთხმად დამფასებელ კომისიის თავჯდომარედ კონსტანტინე ფურცელაძე. ამას გარდა თ. დ. ავალიშვილი გამგეობის წევრად, ბ ნ ივ. მაჩაბლის მაგიერ, რომელმაც უარი სთქვა ამ თანამდებობაზედ, ამორჩეულ იქმნა, 70 მეტის ხმის უმეტესობით-კი არა, 209 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 4-სა. ზედამხედველ კომიტეტის ყველა წევრის არჩევანიც იყო. წინანდელთა შორის ხელ ახლად არჩეულ იქმნენ: ნ. დ. ანდრონიკაშვილი (114 თეთრი—68 შავი), ი. კობიაშვილი (143 თეთრი—37 შავი), ტ. კ. ჯავრიშვილი (122 თეთრი—60 შავი), თ. რ. ერისთავი (107 თეთრი—75 შავი) და ახლები: თ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი (153 თეთრი—29 შავი), ნ. დ. ქანანოვი (117 თ.—65 შავი), თ. ლ. ჯანდიერი (146 თ.—36 შ.), თ. დ. გურამიშვილი (134 თეთრი—48 შავი), ვ. მ. თუმანიშვილი (137 თეთრი—45 შავი) და თ. ნ. ვ. ორბელიანი (157 თეთრი—25 შავი).

*** უწმინდეს სინოდს წარედგინა განსახილველად პროექტი „რუსეთის მისიონერთა პრაქტიკულის ძმობის“ წესდებისა, რომლის უმთავრესი საგანი ის იქნება, რომ ყოველთვის და ყოველგან დაეხმარონ მართლ-მადიდებელ ეკკლესიის მისიონერთა და ეს დახმარება, რამდენადაც შეიძლება, ნივთიერიც უნდა იყოს და ზნეობრივიც.

*** ამას წინად სახელმწიფო საბჭომ დაადგინა, რომ მოწაფეთა დასვენების დრო მეტი დაინიშნოს, ვიდრე ეხლა არისო, რათა ოსტატთა და მოწაფეთა უფრო ხანგრძლივი დრო ჰქონდეთ დასასვენებლადო. ამის გამო საერო განათლების მინისტრს მიუწერია ყველა ოლქის მზრუნველთათვის, რომ გიმნაზიისა და პროგიმნაზიის შეგირდთა გამოცდის ახალის წესის თანახმად საორთველო დრო უნდა დაიწყოს იმ დღიდგან, როცა მერვე კლასში გამოცდა გათავდება და უნდა გაგრძელდეს მისაღებ გამოცდათა დაწყებამდე. ამას გარდა უმცროსი კლასის შეგირდები, გაუთავდებათ თუ არა გამოცდა, მაშინვე უნდა იქმნენ დათხოვნილნი. ახალი წესები შემოღებული იქნება ამ სასწავლო წლის დასაწყისსო.

*** სოფ. წევა (შორაპნის მაზრა): ნათქვამია: „დამწვარზედ მდუღარე დაასხესო“ და სწორედ ასეთი საქმე დაგვემართა ჩვენც: ჯერ წარსულს წლებში მოსავალი ძალიან ნაკლები იყო, და ამ გარემოებამ მკვიდრნი შეავიწროვა, წელს-კი ღმერთმა კაი მოგვცეთ, კარგი სანახავი ჩვენი სოფელი იყო: ვენახებს კარგად ესხა და ნახნავ-ნათესიც მშვენიერად ბიბინებდა, მაგრამ ბედმა გვიმუხთლა: 17 მაისს, ნაშუადღევის ხუთს საათზედ, ასტყდა ქექა, ქუხილი, დაიწყო საშინელი წვიმა და წვიმას სეტყვა მოჰყვა. სეტყვა კაკლის ოდენა ცვიოდა და ნახევარს საათში თითქმის სრულიად დაჰფარა დედამიწა. წვიმამ-კი სამ საათამდის გასტანა, რის გამოც ასტყდა ნიაღვრები და ის მშვენიერი ნახნავ-ნათესი სულ ერთიანად დახვეტა და ვენახებიც-კი დაგლიჯა. ნიაღვარს ერთი თორმეტი წლის ქალი მოეტაცნა და დაერჩო, დამრჩვალის გვამი მდინარე ძირულაში იპოვეს მეთევზეებმა. ამ ქალის ვინაობა ჯერეც არ იციან; ამბობენ, მწყესი იქნებაა, მაგრამ ვინ იცის იქნება მთელი სახლობაც არის დალუპული, ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ მდინარეს სხვაც ბევრი რამ მოჰქონდა, ხე-ტყე და სახლის საძირკვლები.

ამ უბედურებას გარდა ჩვენში ყვავილიც მძვინვარებს და დიდს ზარალს შვრება, მაგრამ მშველელი აქამდის არავინ გამოგვჩენია.

სალნალი. ჩვენი მაზრის მკურნალი დროებით წავიდა აქედამ და ახლა ამის გამო გაჭირვებაში ვართ ჩავარდნილი. ბევრნი არიან ავად, ხოლო წამლის მიმცემი-კი არავინ არის. მართალია ველისციხეში ეგრედ წოდებული „პრიომნი პუკტი“-ა, მაგრამ მაზრის უმეტესობისათვის იქ სიარული შეუძლებელია.

*** 18 მაისს საღამოს, 6 საათზე, ელისაბედის ქუჩაზე სალამბეგოვის სახლზე მომუშავე ალექსანდრე ჩუბანიძე სახლის სართულიდგან გადმოვარდა და დაშავდა.

---

მე მივიღე რამდენიმე მილოცვის დეპეშა საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილებიდამ. რადგან მეძნელება ყველას სათითაოდ ცალკე ჩემი პასუხი მოვასხენო, ამიტომაც გკადნიერობ და გაზეთის შემწეობით ჩემს გულითადს მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც-კი მადირსა პატივი და მომილოცა.

ილია ჭავჭავაძე.

---

კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის.

კრება დაიწყო საღამოს ცხრა საათზედ, 16 მაისს, და სულ 49 წევრი დაესწრო. გამგე კომიტეტში იყვნენ თავმჯდომარე საზოგადოებისა თ. ლ. მაღალაშვილი და წევრნი რ. ყაზბეგი, ლ. ვაჩნაძე და ი. მაჩაბელი. უწინარეს ყოვლისა წაკითხულ იქმნა ანგარიში 1890 წლის აპრილის პირველიდგან 1891 წლის აპრილის პირველამდე. ამ ანგარიშიდამა სჩანს, რომ ამ წელს სასწავლებელში სულ 138 მოწაფე ყოფილა, 57 პანსიონში და 81 გარედგან მოსიარულე, ამ ჟამად-კი სასწავლებელში ირიცხება 143 მოწაფე — 68 პანსიონერი და 75 გარედგან მოსიარულე. საზოგადოებას ამ საანგარიშო წელს ოთხის მოსამზადებელ განყოფილებისა და ორის პროგიმნაზიულ კლასისათვის დაუხარჯავს სულ 28,442 მან. 67 კაპ. იმავე ანგარიშში ნათქვამია, რომ დედათა სასწავლებლის კომიტეტი წელსაც, შარშანდელსავით, ფულის მიკროვეებაში იყო, შარშან ჰქონდა 3,677 მან. 20 კაპ., ამ ჟამად აქვს—5 201 მან. 60 კაპ. ამაზედ მეტს ცნობებს აღარ მოვიყვანთ ამ ანგარიშიდგან და აგრეთვე მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვიდგან, რადგან შემდეგ ორივე დაწვრილებით იქნება ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი.

ანგარიშის წაკითხვისათანავე თავმჯდომარემ გამგე კომიტეტისამ თ. ლ. მაღალაშვილმა იკითხა, გაქვთ ვისმე სათქმელი რამ ან ანგარიშის გამო, თუ არაო.

ან. ფურცელაძე. თუ შეიძლებოდეს, გვაუწყეთ, როცა სამასი შეგირდი იყო, ხარჯი რა გქონდათ.

ივ. მაჩაბელი. სულ 32,200 მან. ჯდებოდა, ეხლა-კი დახარჯულია 28,442 მან.

რამდენიმე ხმა. კარგი იქნება დაწვრილებით ვიცოდეთ, რა რაზედ იხარჯება.

ლ. მაღალაშვილი. აქამდე წესად არ იყო, რომ ხარჯიწერ ილად კრებას განეხილა. კომიტეტსა ჰქონდა ეს საქმე დავალებული. თუ გნებავთ, კომისია ამოირჩიეთ და იმას მიანდეთ ამ ანგარიშის გასინჯვა.

ა. ჩოლოყაშვილი. მაშ, როგორც თქვენის სიტყვიდგანა სჩანს, როცა 5 კლასი იყო და 300 შეგირდი სწავლობდა, ხარჯი 32,000 მან. ყოფილა და ეხლა, როცა 2 კლასია და 140 შეგირდი სწავლობს, 32,000 მანათია.

პ. ყიფიანი. კარგი იქნებოდა, რომ ადრევე, ორის კვირის წინად დაბეჭდილიყო ხოლმე სკოლის ვითარების ამბავი და აგრეთვე ანგარიშიც და სცოდნოდა ყველას.

ეს წინადადება საერთოდ მიღებულია

ა. ჩოლოყაშვილი. აგვიხსნას ინსპექტორმა, რადა ყოფილა ეხლა აგრეთი დიდი ხარჯი.

ალ. ჭიჭინაძე. (ინსპექტ.) შარშან თუმცა, მართალია, 28,442 მან. დახარჯულა, მაგრამ ეს ფული სულ სასწავლებელს არ მოჰხმარებია. ამ ფულიდგანვე შემწეობა მიეცათ ზოგიერთს გიმნაზიაში გადასულს შეგირდს და აგრეთვე ორსაც სტუდენტს სულ 690 მან. ამას გარდა ოთხიხუთის წლის წინად ეხლანდელს კლასებზედ ხარჯი ნაკლები იყო, რადგან ხატვას არ ასწავლიდნენ, გალობის მასწავლებელს მცირე ჯამაგირი ჰქონდა, ორს აღმზრდელს ერთის ფასი ეძლეოდა და ეკონომსაც აგრეთვე. აღმზრდელს ოცი მანათი ჰქონდა ჯამაგირი და არც ერთს სასწავლებელში-კი არ აძლევენ ასე მცირე ჯამაგირს. გიმნასტიკა სულ არ იყო და ყმაწვილების სმა-ჭამაც გავაუმჯობესეთ. თითო პანსიონში მყოფის შენახვა ჯდება 193 მან., სწავლება თითო მოსწავლისა-კი—25 მ., ასე რომ პანსიონერის აღზრდა ჰღირს 288 მ., სხვაგან უფრო ძვირადა ჯდება. მაგალითებრ, ტფილისის პროგიმნაზიაში, სადაც ერთი მოსამზადებელი განყოფილებაა და ოთხი პროგიმნაზიული კლასი, დაჰხარჯვიათ 28,224 მან., თითო ყმაწვილის სწავლებაზედ —153 მან., პირველს კლასიკურს გიმნაზიას თითო პანსიონერის შენახვა დასჯდომია 291 მან., სწავლება—110 მან., სულ 401 მან. ჩვენს პანსიონში-კი თითო სულის მოწაფის სჭმა ჭამა ჰღირს 5 მან. ვგონებ ამაზე იაფად შეუძლებელი ლაა ბავშვების გამოკვება.

თ. თაქთაქიშვილი. თქვენ ამბობთ, ჩვენ თითო პანსიონერი 288 მან. გვიჯდება, კლასიკურს გიმნაზიაში-კი—401 მან. მე თვითა მყავს იმ გიმნაზიაში შვილი, 300 მან. ვიხდი წელიწადში და 400 საიდგან უნდა ჯდებოდეს.

ალ. ჭიჭინაძე. მზრუნველის ოფიციალურს ანგარიშს გიჩვენებთ 1888 წლისას, სადაც სწორედ ის რიცხვია დასახელებული, რომელიც მე დავასახელე.

გ. იოსელიანი. მართალია, სამი კლასი მოაკლდა სასწავლებელს, მაგრამ,

სამაგიეროდ, პანსიონერების რიცხვმა იმატა. სადგომის ქირაც იგივეა. ძალიან შევცდით, რომ სამი კლასი ჩამოვაცალეთ. ამ კლასების შემცირებამ მხოლოდ 3,000 მანათით შეამცირა ხარჯი, ისევ ის ემჯობინებოდა, რომ მხოლოდ ერთი კლასი მოგვეკლო და ოთხი კი დაგვეტოვებინა. მეორე კლასიც რომ გავაუქმოთ, ხარჯი იგივე იქნება, არაფერს იკლებს.

ვაჩნაძე. ამაზედ ნაკლები ხარჯი შეუძლებელი-ღაა. მასწავლებელს ეხლა რიგიანი სისტემა არა აქვს. სასურველია, რომ ხუთი კლასი გვქონდეს. ინსპექტორს მადლობა უნდა გადავუხადოთ, რომ ასეთის მცირედის ხარჯით მოუხერხებია სასწავლებლის წარმოება. მთელი თავად-აზნაურობა ამ სასწავლებელს შესცქერის. შარშან ორის კლასის მომატებისათვისა ვსთხოვეთ ფული, მაგრამ არ მოგვცეს. ბანკის ყოველივე ქონება ამ სასწავლებელს უნდა მოჰხმარდეს და თუ შესაძლებელი იქნება, ყოველს წელიწადს თითო კლასი მივუმატოთ.

ივ. ჯაჯანაშვილი. მაგ ფულით, რომელსაც ეხლა ვხარჯავთ, 240 შეგირდის აღზრდაც შეგვიძლიან, მაგრამ რა აღზრდა იქნება. რადა ჰხდება ისე, რომ სხვაგან, სადაც შესვლა დიდად მოუხერხებელია, ზედ აწყდებიან და ჩვენ-კი ვთხოვთ, მოიყვანეთ შვილებიო, კარები ღია გვაქვს, მაგრამ მაინც გაურბიან. ალბად მიზეზია რამე. კვლავ ვიკითხავთ, რა მიზეზია, რომ შეძლებული ჩვენს სასწავლებელს გაურბის და მხოლოდ ღარიბი გვეტანება. რადა ჰხდება, რომ თ. თაქთაქიშვილს იქ მიჰყავს თავისი შვილი, იქ 300 მან. იხდის და აქ-კი 100 მან. არ ემეტება.

თ. ერისთავი. ბევრს მოსწავლეს ვიცნობ, სათავად-აზნაურო სასწავლებლიდგან გადასულს გიმნაზიაში, რომელნიც ძალიან კარგად სწავლობენ და მომზადებულნიც კარგად იყვნენ.

გ. სულხანიშვილი. სკოლა არ აკმაყოფილებს საზოგადოებას, რადგან უფლება არა აქვს-რა მინიჭებული. სხვა სისტემის სასწავლებელი უნდა გაიმართოს—რეალურ სასწავლებლის პროგრამით, ექვს-კლასიანი, და ორიც სხვა განყოფილება ჰქონდეს — სამეურნეო და სატეხნიკო. ქუთაისისა, ტფილისისა და სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლები ერთად უნდა შეერთდეს, ორივე ბანკი ადვილად გაუძლევება ამ ახალის, სრულის სასწავლებლის ხარჯს.

ზ. გედევანიშვილი. ამ სასწავლებელს დაარსებიდგანვე რაღაც ლაქა დაჰყვა და აღარ ჰშორდება, თუმცა ეხლა ყოველისფერი რიგიანად და წესიერად სწარმოებს აქ ეხლა ყველაფერი კარგად მიდის, განსაკუთრებით-კი სწავლის საქმე. ტყუილია აგრეთვე ისიც, ვითომ რუსულს ენას არ ასწავლიანო, პირ-იქით, რუსულს თითქმის ისევე კარგად ასწავლიან, როგორც სხვა სასწავლებლებში.

ზ. ყიფიანი. სამწუხარო ის არის, რომ სკოლას გამორკვეული, დამთავრებული საგანი არა აქვს. მაგალითებრ, როდესაც მანდ გაათავებენ მოსწავლეები სწავლას, მერე სად უნდა წავიდნენ? სკოლის დანიშნულება უნდა შეიცვალოს, დამთავრებული ხასიათი მიეცეს და მაშინ აღარავინ გაექცევა.

ივ ჯაჯანაშვილი. მხოლოდ ლაპარაკობენ, ხან რას დაადგენენ ხოლმე, ხან რას, მაგრამ ამსრულებელი-კი არავინ არის. რამდენიც აქა ვართ, იმდენი აზრია: ყველას თავ-თავისი აზრი აქვს. მე პირადად კლასიკურს განათლებას ვამჯობინებ. სასწავლებელს გამორკვეული პროგრამა არა აქვსო. ვინ მოგვცა მერე პროგრამა, რომ იმ პროგრამით არ ვასწავლეთ? მართალია, არავითარი პროგრამა არა გვაქვს, მაგრამ ვისი ბრალია? ან რას ერჩიან ჩვენს სასწავლებელს, რა წუნსა სდებენ? ოთხის წლის განმავლობაში 44 შეგირდი გიმნაზიაში შევიდა ამ სასწავლებლიდგან და 111 კიდევ სხვა სასწავლებლებში. ამაზედ მეტი განა მოეთხოვება კიდევ სასწავლებელს?

გ. ანდრონიკაშვილი. ეგ სასწავლებელი მხოლოდ უნდა ამზადებდეს ყმაწვილებს გიმნაზიებისათვის. რადგან, კონკურენციის გამოისობით, ბევრნი ვერ იშოვნიან ადგილს ტფილისის გიმნაზიებში, კარგი იქმნება განჯის გიმნაზიაში მივაბაროთ, სადაც მოსწავლენი ძალიან ცოტანი არიან, ადვილად მიიღებენ ჩვენის სასწავლებლის მოწაფეებს და ცხოვრებაც დიდად ადვილია. ჩემის აზრით, ჩვენი მოსწავლეები იქ უნდა გავგზავნოთ და შემწეობაც დავუნიშნოთ.

დ. მაღალაშვილი. გარედგან მოსიარულე მოსწავლენი ისე კარგად ვერა სწავლობენ, როგორც პანსიონში მყოფნი. შეძლება არა გვაქვს იმდენი, რომ სწავლისა და პანსიონის საქმე უფრო გავაუმჯობესოთ და განვაკარგოთ.

ა. ჩოლაყაშვილი. ბ-ნმა ჯაჯანაშვილმა სთქვა, რომ ყმაწვილები კარგად არიან მომზადებულნი, მაგრამ ჩვენს თავად-აზნაურებს შვილები მაინც არ მოჰყავთო. ეს ორი აზრი ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მიზეზი იმ გარემოებისა, რომ მოსწავლეები არ მიჰყავთ, მაგან უნდა იცოდეს, რადგან ათი წელიწადია, რაც მასწავლებლად არის.

ივ. ჯაჯანაშვილი აკი დავასახელე კიდევ მიზეზი. მიზეზი ის არის, რომ ყველანი სხვა-და-სხვა აზრისანი ვართ სასწავლებლის პროგრამის შესახებ, რამდენიც აქ კაცია, იმდენივე აზრია, თუ არ მეტი, და ამას გარდა კიდევ ის, რომ აქამდე გამორკვეული პროგრამა არა გვაქვს და არ ვიცით, რა სწავლის წესს უნდა მივდიოთ.

ა. ჩოლაყაშვილი. ეხლა სასწავლებელი კლასიკურ განათლების მოსამზადებელ განყოფილებისაგან შესდგება, არა?

ივ. ჯაჯანაშვილი. დიაღ, უკვე ოთხი წელიწადია.

ა. ჩოლოყაშვილი. წინად როგორი იყო?

ივ. ჯაჯაშვილი. მეც არ ვიცი. იქ ვიყავი, მართალია, მასწავლებლად, მაგრამ მეც არ ვიცი, რას ვასწავლიდი. (აქ ბ-ნმა ჯაჯანაშვილმა აუხსნა საზოგადოებას მიზეზი, რომლის გამოც დაანებეს სასწავლებელს თავი ზოგიერთმა შეგირდებმა და რამდენიმე მიზეზი დაასახელა.)

(შემდეგი იქნება)

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. კოკი (ზუგდიდის მაზრა). კოკის საზოგადოებაში ექვსი სოფელია: დიდი კოკი, პატარა კოკი, ორსანტია, შამგვანი, ოტობაია და კახათი; სიდიდითა და მცხოვრებლებთა რიცხვით ამოდენა საზოგადოება ძვირი არ მოიპოვება სამეგრელოში. ამასთანა მშვენიერის მდებარეობის ადგილ-მამული, ყოველისფრით აყვავებული და მოსავლიანი იშვიათია საქართველოში: სახნავ-სათესი მინდვრები ერთი მეორესა სჯობია: დიდი ჯაფა და შრომა არა სჭირდება აქაურს მხვნელ-მთესველს. ჯერა სთესენ და მერე ხვნენ, უფრო-კი სჩიჩქნიან მიწას, ოღონდ-კი დაჰმალოს დათესილი მარცვლები. მიწა იმდენად ლონიერია და ნაყოფიერი, რომ მიბარებულს მარცვალს ერთი ოთხმოცად გვაძლევს. არც ერთის მხრიდგანაც არ მიდის ამდენი სიმინდი, რამდენიც აქედგან გადის: დადგება თუ არა დეკემბერი მცხოვრებლები მაისის თვემდე ყოველდღე ეზიდებიან სიმინდისა დაბა ანაკლიაში, (შავი ზღვის პირზეა). მევენახობა სრულიად არ იციან ამ საზოგადოების მცხოვრებმა, მაგრამ თვით ბუნებისაგან აყვავებულს მამულში ყოველ წლობით ბლომად მოსდით ღვინო. გარდა ამისა ქალებსაც დიდი ძალი აბრეშუმი მოჰყავთ: არც ერთს ქვეყანაში არ აკეთებენ ამდენს აბრეშუმს იმიტომ, რომ ამ საზოგადოებაში თუთის ხეები ძლიერ ბევრია. აქ ერთი დედაკაციც არ გავა თავის ეზოს გარედ ფურცლის მოსაკრებად, სხვაგან-კი დედაკაცები ფურცლის მოსაკრეფად ხშირად ხუთი ექვსის ვერსის სიშორეზედაც მიდიან. ერთის სიტყვით ჩვენს საზოგადოებაში ყველაფერი უხვად მოგვდის, ბუნება ხელ გაშლით და უშრომლად გვასაზრდოვებს, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ნაირად მშვენიერს, ადგილ-მამულით შემკულს, საზოგადოებაში მუშაობის მოყვარული ხალხი არა სცხოვრობს. სიზარმაცის გარდა სხვაც ბევრი რამე გვჭირს: ყოჩაღობა, ავკაცობა, ქურდ-ბაცაცობა, მკითხაობა, ცრუ-ექიმბაშობა, ცრუ-მორწმუნეობა და სხვა ამ გვარი ძლიერ ხშირია. ქურდობა და ძარცვა-გლეჯა თითქმის ყოველ დღე და ღამეა. სხვა ქვეყნის ავაზაკებიც აქ მოდიან სანავარდოდ და სამალავად. დაღამდება თუ არა, თავმოიყრიან ხალმე და ერთად გაემგზავრებიან საშოვარზედ. ყოველს დილას სამი-ოთხი საწყალი კაცი მოჰკივის ტირილით სასამართლოში.

ადმინისტრაცია ბარემ ცდილობს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერა გაუწყვიარა. გარდა ამისა ჩვენში გახშირებულია კაცის-კვლა. რა გვარი შეკრებულობა უნდა მოჰხდეს: ქორწილი თუ მიცვალებულის გასვენება, ღდეობა ან სხვა რამე და ისე დაიშალოს ხალხი, რომ ერთი კაცი მაინც არ დამახინჯდეს, ან საიქიოს არ წავიდეს. წარსულს წლებში მოჰკლეს მტრებმა მემამულე შ. ლეფონავა, დიაღ კარგი და გამოსადეგარი კაცი საზოგადოებისა. მიცვალებული ჩემის თვალითა ვნახე და ოც-და-ორი ჭრილობა ჰქონდა: შარშან მოჰკლეს თ. დგებუაძე. წარსულს მარიამობის თთვეში მოჰკლეს კ. ნარმანია. საწყალს სამი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. ეს ამბავი ასე მოხდა: ავაზაკებს ჰქონიათ ნარმანიასთან მტრობა და განუზრახავთ იმის მოკვლა; დიდი ხანი დასდევდნენ თურმე საწყალს მოსაკლავად. ბოლოს ავაზაკები წამოსულან ღამის სამს საათზედ და მისდგომიან ეზოს კარებზედ, ერთი მოღალატე ეზოში შევარდნილა და ორმოში ჩასაფრებულა, მეორეს დაუძახნია, სტუმარი ვარ, კარი გამიღეო. ძახილზე საწყალი ამდგარა და კარებთან მისულა. ამასობაში დასცემიათ ავაზაკები თავზედ და რევოლვერებით მოუღიათ ბოლო. საცოდავი შესახედავი იყო, როდესაც ცოცხალ-მკვდარი ძლივს-ღა ანძრევდა ენას სალაპარაკოდ. ეხლა თუ ვისმე საქონელი ჰყავს, ან თუ ორი გროში აბადია, ეშინიან და ყოველს წამს ელის თავზედ ავაზაკების დასხმას. ადმინისტრაცია ბევრი ხანია სცდილობს რამე ნაირად დაამშვიდოს საზოგადოება, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, იმათ თავიანთი არ დაიშალეს, დაიშალეს კი არა, უფრო უარესსაც სჩადიან. წარსულს წლებში ზუგდიდის მაზრის ბოქაულმა ა. წერეთელმა დიდი შრომა მიიღო ამ საზოგადოების გაუმჯობესებლად, რიგიანად ადევნა თვალ-ყური, სასტიკად სდევნა ღამის რაინდები და ცოტაოდენი მოსვენებაც მიეცა მცხოვრებლებს, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, წერეთელიც გადაიყვანეს სხვა მაზრაში და იმის ადგილზედ დაინიშნა ძველადვე კოკის ბოქაულად მყოფი გ. დგებუაძე. ამ სენთან ერთად სხვა გვარი უბედურებაც გვჭირს. ჩვენებურებს სანატრელ სურვილად გადაქცევიათ, რომ როგორმე სხვის ადგილ-მამულში შეპარვით ჩაიდგან ფეხი და დაეპატრონონ სხვის მამულს. თუ-კი ერთხელ ჩადგა ფეხი, მერე შეუდგებიან სასამართლოში საჩივარს, შოულობენ მოწმეებს და დავი-დარაბასა და საჩივრებში ალამებენ დღეს.

ამ ნაირი საქმეები ან წართმევა-წაგლეჯით უნდა გათავდეს და ან ხანჯლების ტრიალით, (როგორც მოგახსენეთ ბ. ლეფონავა და დ. დგებუაძე ორივე მამულის თაობაზედ მოჰკლეს) ცუდი არ იქნება, რომ ამ მაზრის სოფლებსაც მალე ეღირსოს ადგილ მამულის შემოფარგვლა. ეს ესე, მაგრამ ერთი რამ კიდევ გამაგონეს მცხოვრებლებმა არა მარტო კოკში, არამედ ახლო-მახლო სხვა სოფლებშიდაც. რაც სამხედრო ბეგარა დაგვიწესდა, ჯარის-კაცების მუდამა სჩივიან სოფლის მწერალთა და მამასახლისზე და ვინ მოსთვლის, რას აბრალებენ.

ორიოდე სიტყვა სწავლა განათლებაზე. ჩვენის საქართველოის სოფლებში ცოტა არ იყოს სკოლების გამართვას და სწავლის გავრცელებას ყველა საზოგადოება ჰზრუნავს, ჩვენი საზოგადოება-კი ამაზედ ჯერ არასა ფიქრობს, მაგრამ ამის მიზეზი ისევ ჩვენი საზოგადოებაა, რადგანაც სრულიად არ მისდევენ სკოლების დამყარებას და სწავლის შეძენას თითქმის სკოლის ხსენებაც არა ჰსურთ. ერთს დროს ვილასაც მოუნდომებია აქ სკოლის გახსნა და კიდევაც შეუდგენია საზოგადოებას განჩინება, რათა მოეწვიათ მასწავლებელი და წელიწადში სამასი მანათი ეძლიათ, მაგრამ შენობის გაკეთებაზედ არავინა ზრუნავს და დადგენილი განჩინება უყურადღებოდ არის მიგდებული. იმის ნაცვლად შეადგინეს მეორე განჩინება, რომ მასწავლებელს ეძლიოს ას ორმოცდა ათი მანათი (150მ.) ჯამაგირი წელიწადში და სკოლა გახსნეს სასამართლოის ერთს პატარა ოთახში, მაგრამ, ჩვენდა და სკოლის სამწუხაროდ, ყოველ მეორესა და მესამე თვეში გარბოდნენ მასწავლებლები, რადგანაც საზოგადოება ყურადღებას არ აქცევდა და ცოტა ჯამაგირი ჰქონდათ. ამ გვარ უსაფუძვლო სკოლის გამო არა ვრცელდებოდა სწავლა და თან და თან ეცემოდა სკოლა. ბოლოს-კი როგორც იყო დაინიშნა სკოლის მასწავლებლად ერთი რიგიანი კაცი, რომელმაც სკოლის გაუმჯობესობას მიჰყო ხელი. გამოუცხადა საზოგადოებას ყოველივე პედაგოგიური მოთხოვნილება, ჩამოართვა საზოგადოებას პირობა, რათა აღაშენონ სკოლისთვის შენობა, ცოტა დააწუხა საზოგადოება და პირველის განაჩენების ძალით დააწესებინა მასწავლებელთათვის ჯამაგირის ძლევა, ესე იგი სამასი მანეთი ყოველ წლობით. ამ ნაირად, ცოტა არ იყოს, ახალმა მასწავლებელმა ფეხზედ დააყენა სკოლა. ამ საზოგადოებაში ხუთი ეკკლესიაა და განა მღვდლებს არ შეუძლიათ თავიანთ ეკკლესიებთან იქონიონ სკოლა და ან ერთმანეთის დახმარებით ერთი სამრევლო სკოლა გამართონ? ისიც ხომ მათი მოვალეობაა, რომ, საზოგადოებას ჩააგონონ და სკოლისათვის ხელი შეაწყობინონ.

თეიმურაზ ჭიჭინაძე

# უცხოეთი

საფრანგეთი. დღისით, ექვს მაისს, საფრანგეთის ქალაქ ლიმოჟში სავიმნასტიკო საზოგადოებათა წევრებს საჩუქრები დაურიგდათ და ამ დღესასწაულს რესპუბლიკის პრეზიდენტი კარნოც დაესწრო. სადამოზედ პატივსაცემლად კარნოსი გაიმართა მეჯლისი, შესანიშნავი იმითი, რომ პრეზიდენტმა ფრიად საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა პასუხად იმ სიტყვისა, რომლითაც მას ქალაქ ლიმოჟის მერმა მიჰმართა სადღეგრძელოს დალევის დროს. „ნუ დაივიწყებთო—უთხრა მერმა პრეზიდენტს: რომ თავისუფალს საფრანგეთში მრავალი ტანჯული მოიპოვება, რომ ეს ტანჯულნი კანონიერად ითხოვენ, ეძიებენ ზოგიერთს შეღავათსა და დახმარებას და მათი ესრეთი თხოვნა ღირსია ყურადღებისა და დაკმაყოფილებისაო“. „იმ უმაღლესმა მოვალეობამაო—უპასუხა პრეზიდენტმა მერს: რომელიც ჩემმა თანამემამულეებმა დამაკისრეს, არა ერთხელ მათქმევინა, თუ რა გვარად ვზრუნავ ერის შრომისა და მშრომელ ხალხის ბედ-იღბლისათვის და ამ გვარს შემთხვევაში მე ყოველთვის იმათს აზრს ავხსნიდი და განვმარტავდი ხოლმე, ვისაც სამშობლო უყვარს და ესმის საჭიროებანი თანამედროვე საზოგადოებისა (ტაშის კვრაა). ყოველივე, რაც-კი მუშის ჯანმრთელობასა, მის მშვიდობასა და მის საცხოვრებელ სახლისა და სახელოსნოს განკარგებას შეეხება; ყოველივე, რაც-კი უზრუნველ ჰყოფს მუშის ღირსებასა და თავისუფლებას; ყოველივე, რასაც-კი კაცს ჰკუა და მო-

საზრება წასჩურჩულებს და ურჩევს, ასე უნდა მოიქცე, რომ დაავადებულსა და სიბერით გატეხილს მუშას პურის ლუკმა არ მოაკლდესო, ყოველივე ეს, ბ-ნო მერო, მუდმივ ახსოვთ და საზრუნველ საგნადა აქვთ იმათ, ვისაც ქვეყანა ირჩევს და ენდობა (კიდევ თანაგრძნობის ნიშნები). პალატებს უკვე წარედგინა მრავალი პროექტი, რომლიდგანაც ნათლად სჩანს, რომ ერის წარმომადგენელნი მუშა ხალხისთვის თავ-გამოდებულნი არიან და ამ ქამადაც მთავრობა ახალს კანონპროექტებს ამზადებს, რომელმაც მუშათათვის უზრუნველ უნდა ჰყოს ღირსეული ფასი მათის შრომისა (ხანგრძლივი ტაშის კვრაა). რესპუბლიკა არას დროს არ შეჩერდება და ყოველთვის შემოიღებს ახალ-ახალს საჭირო ცვლილებას. ზოგიერთთა მიერ ძალდატანებითა, კანონების დარღვევითა და საშრომად თავისუფლების შეხუთვით-კი არ განხორციელდება ერის საყოველთაო სურვილი, არამედ თანამემამულეთა შეერთებულის შრომით რესპუბლიკის კალთას ქვეშ, იმ რესპუბლიკისა, რომელიც ერის მიერ უკვე შეწყნარებულია და დამკვიდრებული. (კიდევ ხანგრძლივი ტაშის-კვრაა). ეს შეერთებული შრომა და ერთგულება სამშობლოსადმი გვასწავლა ჩვენმა ჯარმა, ამ ჭეშმარიტმა მასწავლებელმა ჩვენის მოვალეობისა და განამტკიცებელმა მამულისადმი სიყვარულისა. ხოლო ეს შეერთებული შრომა შეგვაძლებინებს მუშა ხალხის ყოფა-მდგომარეობის განკარგებას, იმ მუშა ხალხისას, რომელიც განცალკევებულად არავინ უნდა წარმოიდგინოს ერისაგან, რადგან იგი მუშა ხალხი ერთი საჭირო ძარღვთაგანია ამ ერის ცხოვრებისა. ასე, ბატონებო, ჩვენ მიერ სურვილის გაერთგვარება და ღონის ძიებათა და შრომის შეერთება უჭეშმარიტესი თავდებია ჩვენის წარმატებისა და გამარჯვებისა“. პრეზიდენტის სიტყვამ დიდად ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება, რომელიც ხანგრძლივ იძახდა: „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ გაუმარჯოს კარნოსაო!“

---

# დეპეშა

18 მაისი.

მოსკოვი. დღეს მათი უდიდებულესობანი გამობრძანდნენ მიძინების ტაძარში. კრემლის დიდს სასახლეში შეიკრიბნენ წარჩინებულნი ქალნი და კაცნი, რომელნიც სახელმწიფო სასახლეში უნდა მივიდნენ. როცა მათ უდიდებულესობათ წარედგინენ, ქალაქის თავმა პურ-მარილი მიართვა და მოახსენა: „უთვითმპყრობელესო ხელმწიფევ, მოსკოვის საქალაქო საბჭო თავს გიკრავთ შენ და ხელმწიფა იმპერატრიცას. მიიღე ჩვენგან პურ-მარილი და მადლობა იმ ახალის წყალობისათვის, რომ თქვენი უავგუსტოესი ძმა დაგვინიშნეთ გენერალ-გუბერნატორად.“ შემდეგ მათი უდიდებულესობანი დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულითურთ ეკკლესიის კარით, სადაც საპატიო ყარაული იდგა, „Красное Крыльцо“-ზე გაემგზავრნენ; წინ მიუძღოდნენ უმაღლესნი კარის კაცნი, მინისტრნი შინაგან საქმეთა და სამხედრო და ქალნი. გამობრძანდნენ თუ არა მათი უდიდებულესობანი „Красное Крыльцо“-ზე, იმის წინა მოედნიდგან ხალხმა დიდი ძახილი მორთო „ურა“-სი. მათ უდიდებულესობათ თავი დაუკრეს ხალხს და შემდეგ წითელის მაუდით დაფენილის გზით ჩამობრძანდნენ „Красное Крыльцо“-დამ მიძინების დიდს ტაძარში. ტაძრის კარებში მათ უდიდებულესობათ მიეგება მიტროპოლიტი მისალოცის სიტყვით და მერე პარაკლისი გარდაუხადა. პარაკლისს შემდეგ მათი უდიდებულესობანი გაემგზავრნენ ჩუდოვის მონასტერში. წინ მიუძღოდა უმაღლესი სამღვდელოება მიტროპოლიტითურთ და ამალა ახლდა. გზა-გზა ხალხი აღტაცებულის ქდივილით ეგებებოდა. ჩუდოვის მონასტრის მოაჯირზე კვლავ დაენახვნენ ხალხს მათი უდიდებულესობანი და შემდეგ, ემთხვივნენ რა წმიდა ნაწილებს, შიგნითის კარით შევლეს ნიკოლოზის სასახლეში, რომელიც გენერალ-გუბერნატორს უჭირავს.

მოსკოვი. დღეს, 2 საათსა და 10 წუთზე, ფრანგულს გამოფენაზე მობრძანდა მისი უმაღლესობა მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი მეუღლითურთ, ხოლო $2^1/_4$ საათზე „ურას“-ს დიდმა ყვირილმა შეატყობინა ხალხს მოახლოვება მათის იმპერატორებითის უდიდებულესობისა ხელმწიფე იმპერატორისა და ხელმწიფა იმპერატრიცასი. მათი უდიდებულესობანი ეტლით მობრძანდნენ და კარებთან დაუხვდნენ საფრანგეთის დესპანნი, პეტერბურგიდგან ჩამოსულნი, ვიცე-პრეზიდენტი გამოფენისა, საფრანგეთის გენერალ-კონსული, სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრნი და უფროსი მოსკოვის ოლქის ჯარებისა. სამხედრო მუშსიკეთა დასმა საერო საგალობელი დაუკრა. უმთავრესს შესავალს კართან ცოლმა გამოფენის კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტისამ მიართვა ხელმწიფეს თაიგული. გამოფენის დათვალიერების დროს მათ უდიდებულესობათ რამდენიმე ნივთი იყიდეს და რამდენიმეც მიართვეს. სამხატვრო განყოფილებიდგან მათი უდიდებულესობანი გავიდნენ გვირგვინის წმინდა კურთხევის პანორამაში, სადაც ხელმწიფე იმპერატრიცას კვლავ მიართვეს თაიგული. შემდეგ მათი უდიდებულესობანი შებრძანდნენ საიმპერატორო ფარდულში, საგრილობელი სასმელები მიირთვეს. დაჰყვეს რა $^1/_2$ საათი, მათი უდიდებულესობანი ბაღის ნაპირის ხეივნით შებრძანდნენ სამხედრო ფარდულში, საიდგანაც $4^1/_2$ საათზე კრემლის სასახლეში გაემგზავრნენ. ხალხში აღტაცებული ქდივილი იყო.

ხარკოვი. „Южный край“ იუწყება, 8 მაის რიკოვსკის ერთი მაღაროთაგანი აფეთქდა, ერთი მუშა დაშუშხა და ოთხიც დააშავა. მღვიმეებში მუშაობის დროს უბრალო ლამპრები უნთიათო.

პეტერბურგი. საადგილ-მამულო ბანკმა: ბესარაბია-თავრიზისამ, ხარკოვისამ, დონისამ, იაროსლავ-კოსტრომისამ, კიევისამ, მოსკოვისამ ნიჟეგოროდ-სამარისამ, პეტერბურგ-ტულისამ, პოლტავისამა და ვილნოსამ ძლიერი ტირაჟი მოახდინეს სესხის გაცემის 6% კონვერსიისთვის. ტირაჟის ტაბლიცები უფასოდ ურიგდება ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლების პატრონთ და იწვევენ მათ, რომ 5% გირავნობის ფურცლებზე გამოსცვალონ. განცხადების შეტანა ფურცელთა გამოსაცვლელად შეიძლება 1891 წ. 15 ივნისამდე, გარდა ზემოხსენებულის ბანკებისა, სახელმწიფო ბანკსა, მისს განყოფილებებსა, საერთა-შორისო და რუსეთის გარეშე ვაჭრობისათვის დაარსებულს ბანკშიაც.

„Нов. Вр.“ იუწყება, უმაღლესს მთავრობას წარედგინა დასამტკიცებლად პროექტი იმისი, რომ მაჰმადიანთა სამღვდელო კრებების მოქმედებას ზედამხედველობა დაუწესდესო.

იგივე გაზეთი იუწყება, რომ აწინდელი ებრაელთა სასწავლებლები, ხედერები და ბესგამედროშები, განზრახვა აქვთ, სახელმწიფო დაწესებულებად გადააკეთონ და ცალკე ინსპექცია დაუწესონო.

ამ დღეებში ილმენის ტბაზე დიდის გრიგალის გამო ცხრამეტი ნავი, შეშით დატვირთული, ხალხითურთ დაიღუპა.

გაზეთები იუწყებიან, სახელმწიფო საბჭოში შეიტანეს პროექტი იმისი, რომ პეტერბურგს საქალებო სამკურნალო ინსტიტუტი დააარსონო.

პეტერბურგის ბირჟა 14 მაისს

| | მყიდველნი | | გამყიდველნი | | გარიგება | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 6 | 74 | 6 | 76 | — | „ |
| ტამოჟნის კუპონები | $134^1/_2$ | | $135^1/_2$ | | — | „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 | 04 | 1 | 05 | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — | „ | — | „ | 244 | |
| —მეორისა | — | „ | — | „ | 223 | |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | 213 | | — | „ | — | „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 101 | 62 | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ხდობის საზოგადოებისა | — | „ | — | „ | „ | — |

---

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით. საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამის შორის გზით.

პარასკეობით. დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით. დილით სტამბოლიდამ ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს,

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით რკი გემოგა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტოდასწყვეტს ხოლმე, როდის წავა ჟვან. ამას გარდა უოკელ-კვირა ფოთში მოდიან გეოდესიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.

---

# განცხადებანი

## მიბაძვა ქრისტესი,

თომა კემპელისა

თარგმნილი ლათინურიდგან

პ. ა. მღებრიშვილის მიერ.

წიგნი I, II, III და IV ისყიდება შემდეგს ქალაქებში:

თბილისში: „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, სამღრთო წიგნთ-საკითხავში და ქართველთა წიგნის გამომცემ ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში.

გორში: არ. კალანდაძის სტამბასა და ზ. დონდაროვის მაღაზიაში.

ქუთაისში: ძმ. ჭილაძეებისა და ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში.

ხონში: ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში.

ოზურგეთში: გ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში: მ. ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში.

ახალციხეში: მკვლს ქალაქში სომხთა-კათოლიკე მღვდელ გვარამაძესთან.

მოზდოკში: კათოლიკეთა მღვდელ-მატრ გ. მუთაფოვთან.

ცხინვალში: დეკანოზ ჭურჭულთან.

უვირილაში: მამა დეკანოზ დამბაშიძესთან და ფოთში: კოსტა ყაუხჩოვთან.

ფასი მთელის წიგნისა ყდითა და ოთხის სურათით 1 მ. 50 კ., უყდოდ და უსურათოდ 1 მ. (10—7)

---

## ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისგან

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა, 1881 წელს 17 თებერვალს დამტკიცებულ ბანკის წესდების მე 15 § ის ძალით, ამით აცხადებს, რომ 22 და 24 ივნისს 1881 წ. დილის 12 საათზედ, ტფილისში ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზე, არწრუნისეულს სახლებში, საჯაროდ გაიყიდება ქვემოხსენებული მამულები ვაჭრობის განუმეორებლად, ბანკის წესდებულებით დადგენილთა გადასახდელების შემოუტანლობის გამო მე-13, 14, 15, 17, 18 და 19 §§-მებრ.

ვაჭრობა, წესდების მე-18 § ის ძალით, დაიწყება ზემოხსენებულ ვალის ჯამიდამ, რომელზედაც ზედ მიევა დარჩენილი ფული სახელმწიფო და საერო (земскiй) გარდასახადისა. თავენის ვალის გადაწყვეტა შეიძლება ბანკის გირაოს ფურცლებით მანეთით მანეთზედ; აგრეთვე შეიძლება ბანკის ვალი გადაიდეს მამულების მყიდველზედ. შემოსატანი ფული და ძველი დარჩენილი (недоимка) კი უნდა შევსებულ იყოს ნაღდის ფულით.

თუ 22 ივნისს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბანკის წესდების მე-21 § ის ძალით დაინიშნება უკანასკნელად ივლისს ამა 1896 წელს; მე-16 § ის თანხმად, მოვალეს შეუძლიან დარჩენილი ფული სარგებლითა და სხვა ხარჯის შევსებით შემოიტანოს ერთის დღის წინად ვაჭრობამდე.

პირველად დაინიშნება ვაჭრობა ქალაქის მამულთა 22 ივნისს, და სოფლების 24 ივნისს, ხოლო მეორე ვაჭრობა ქალაქის მამულებისა 6 ივლისს და სოფლისა—8 ივლისს.

ა) სესხნი გაცემულნი არა-ურთიერთობრივის თავდებობით.

### I ქალაქის მამულები

მახვილაძისა, ანნა ვასილის ასულის: ორი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა ზომით $14^1/_2$ ოთხკუთხი საჟ. ტფილისს, ვანქის სობოროსთან. თავენი ვალი 424 მ. და 33 კაპ. შემოსატანი 93 მან. 84 კ. სულ 518 მ. 17 კ.

სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასული: ორ-სართულიანი და ერთ სართულიანი დუქანი ბალახვანითა და ოთახებით, მიწა ზომით 276 ოთხკუთხი საჟენი. 5 ნაწ. 1 განყოფილებაში თათრის მოედანზე და ჩუღურეთში 6 და 8 ნაწ 2 განყოფ. ქ. ტფილისს. თავენი ვალი 18314 მ. შემოსატანი 4555 მ. 60 კ. სულ 22869 მ. 60 კ.

ბეთანოვი, სტეფანე ივანეს ძე: ორსართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი ქვითკირისავე სახლი ყოველისავე მოწყობილობით, მიწა ზომით 28 საჟ. სიგძით, ხოლო სიგანით 13 საჟ. ქ. ახალციხეს. თავენი ვალი 2624 მ. 94 კ. შემოსატანი 208 მან. 34 კ. სულ 2892 მან. 28 კაპ.

მირიმანოვი, დავით იაკობის ძე: ორი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველისავე მოწყობილებითა და მიწა ზომით $111^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისს, ელისაბედის ქუჩაზე. თავენი ვალი 12499 მ. 56 კ. შემოსატანი 353 მ. 98 კ. სულ 12853 მ 54 კაპ.

თამამშევი, არტემ ალექსის ძე: ორი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ორის ორ-სართულიანის ფლიგელითა. მიწა ზომით 321 და $^2/_3$ ოთხ-კუთხი საჟ. 1 ნაწ. 1 განყოფილებაში. ოლგასა და მოსკოვის ქუჩაზე ქ. ტფილისს. თავენი ვალი 17,182 მ. 30 კ., შემოსატანი 1319 მ. 70 კაპ. სულ 18,502 მან.

თამამშევი, ალექსანდრე სოლომონის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სამის წყაროთი, ხეხილიანის ვენახითა და ყოველისავე მოწყობილობით, მიწა ზომით 3 დესიატ. და 350 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისს, კრწანისს. თავენი ვალი 1982 მ. 42 კ. შემოსატანი 162 მ. 76 კ. სულ 2,145 მ. 18 კ.

ტერ-შმოვანოვი, ნიკოლოზ ივანეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სა-

ხლი სარდაფითა და ფლიგელით და ყოველისავე მოწყობილებით, მიწა ზომით 86 ოთხ-კუთხი საჟ. ანუ რამდენიც აღმოჩნდება 6 ნაწ. 1 განყ. მელნინისავე და ბებუთოვის ქუჩაზე ქ. ტფილისს. თავნი ვალი 6397 მ. 67 კ. შემოსატანი 517 მ. 24 კაპ. სულ 6904 მ.

ჩოლოყაშვილი, ნიკოლოზ ზაალის ძე და ჯანდიერი ლევან გიორგის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელით. მიწა ზომით 800 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თელავს. თავნი ვალი 907 მ. 94 კ. შემოსატანი 113 მან. 40 კ. სულ 1222 მ. 14 კ.

ციციშვილი, დავით ივანეს ძე: ნაწილი მიწისა ზომით 300 ოთხ-კუთხი საჟ. 11 ნაწ. 2 განყ. აჰვალის ქუჩაზე ქ. ტფილისს. თავნი ვალი 907 მ. 94 კ. შემოსატანი 103 მ. 46 კ. სულ 1011 მ. 40 კ.

ნიკოლაძე, ნიკოლოზ იაკობის ძე: ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი ეზოთი. მიწა ზომით 235 ოთხ-კუთხი საჟ. 16 ნაწ. განყ. წყლის ხაზიდ, ქუჩაზე, ნავთლუღში ქ. ტფილისს. თავნი ვალი 459 მ. 96 კ. შემოსატანი 69 მ. 03 კ. სულ 522 მ. 99 კ.

ბ) სოფლის მამულები

ხიმშიაშვილი, ნიკოლოზ, ნინო და მარიამ გიორგის ძენი და ეკატერინე ბექანის ასული: სახნავი და საძოვარი მიწა, ზომით 653 დესიატ. 1820 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, ანტონისხევში. თავნი ვალი 4017 მ. 37 კ. შემოსატანი 241 მ. 40 კ. სულ 4258 მან. 77 კ.

ნაზარბეგოვი, სოლომონ გრიგოლის ძე: სახნავი, სათიბი და საძოვარი ადგილი, ზომით 548 დესიატინა 1837 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფელ ყიჩიკში. თავნი ვალი 7141 მ. 37 კ. შემოსატანი 371 მან. 64 კ. სულ 7512 მ. 01 კაპ.

ჭიჭინაძისა, სოფიო როსტომის ასული: სახნავი, საძოვარი, სათიბი და საბოსტნე ადგილები და ტყე 291 დეს. 900 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. დიდს შაუთაში. თავნი ვალი 2681 მ. 02 კ. შემოსატანი 235 მ. 68 კაპ. სულ 2913 მ. 70 კ.

ბარათაშვილი, გიორგი ვახტანგის ძე: სახნავი და საბოსტნე ადგილები. მიწა ზომით 177 დეს. 1560 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის მაზრაში აგარაკს ზემო-ოძისში. თავნი ვალი 4016 მან. 85 კაპ. სულ 4302 მან. 68 კაპ.

ერისთავი, გიორგი გიორგის ძე: სახნავი, საძოვარი, სამოსახლო ადგილი, ვენახი და შენობანი, 284 დეს. 1263 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერ. თელავის მაზრაში სოფ. ქისტაურში. თავნი ვალი 9090 მ. 25 კაპ. შემოსატანი 483 მ. 06 კაპ. სულ 9573 მ. 31 კაპ.

თუღაშვილი, სოლომონ ივანეს ძე: სახნავი, სამოსახლო, სათიბი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 296 დეს. და 2003 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიისა და მაზრის სოფ. ზიბრითს, ციოგრეთს, გამოჩინებულსა და აწუპას. თავნი ვალი 2259 მ. 40 კაპ. შემოსატანი 17 მან. სულ 2376 მან. 40 კ.

ჭავჭავაძე, ოლგა თადეოზის ასული: სახნავ-საძოვარი, სათიბი და საბალე ადგილები. მიწა ზომით 286 დესიატ. 690$^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. დუშეთის მაზრაში სოფ. საგურამოში თავნი ვალი 8132 მან. 80 კაპ. შემოსატანი 329 მან. 99 კაპ. სულ 8462 მან. 55 კაპ.

გვრესელიძისა, ანასტასია გრიგოლის ასული: სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 104 დესიატინა და 1200 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის მაზრის სოფ. ბოგვში. თავნი ვალი 2710 მან. 80 კაპ. შემოსატანი 219 მან. 78 კაპ. სულ 2930 მან. 58 კაპ.

მელიქოვი, ივანე ალექსანდრეს ძე: სახნავი ადგილი და ტყე; ზომით 2362 დეს. 364 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბერნ. და მაზრაში გალიტალასა, მუსხანკას, მაგმუთალას ხუჯაბათსა და სხვ. თავნი ვალი 12723 მან. 93 კ. შემოსატანი 879 მან. 44 კ. სულ 13600 მან. 39 კაპ.

ქობულაშვილი, სოლომონ, იოსებ, და ზაქარია ადამის ძენი: სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 823 დესეტინა და 1200 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფ. კონდოლში. თავნი ვალი 9085 მ. 52 კ. შემოსატ. 411 მ. 84 კ. სულ 9500 მ. 36 კ.

თარხან-მოურავი, დავით იორამის ძე: სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 525 დესიატინა და 876 ოთხ-კუთხი საჟენი ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. ახალ-ქალაქსა და სათარხნოს. თავნი ვალი 6361 მ. 38 კ. შემოსატ. 336 მ. 69 კ. სულ 6698 მ. 07 კ.

ვაჩნაძე, იოსებ რევაზის ძე: სახნავი ადგილები და ტყე, ზომით 663 დესიატინა ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში. სოფ. ბარემკალას. თავნი ვალი 2726 მ. 55 კ. შემოსატანი 198 მ. 58 კ. სულ 2825 მ. 13 კ.

გახვახოვი, ეკატერინე გიორგის ასული: სახნავი ადგილები და ტყე, ზომით 308 დესიატინა 555 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ. თელავის მაზრას, სოფ. კონდოლში. თავნი ვალი 2726 მ. შემოსატ. 197 მ. 58 კ. სულ 2924 მ. 13 კ.

შატბეროვისა, ლიუდმილა ათანასეს ასული: სახნავი ადგილები ზომით 18 დესიატინა 1600 ოთხ-კუთხი საჟ. გორის მაზრის სოფელ ხაშურში. თავნი ვალი 908 მ. 86 კ. შემოსატ. 83 მ. 39 კ. სულ 990 მ. 25 კ.

ზეინალოვები, ასკარ და ისმაილ ყასუმის ძენი: სახნავი, სათიბი, საბალე საბოსტნე ადგილები და ტყე ზომით 388 დეს. 250 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიის შულავერის საადმინისტრაციო განყოფილებაში, ბორჩალოს ნაწილის სოფ. ახლი მაღმუთლუსთან. თავნი ვალი 4544 მ. 62 კ. შემოსატანი 220 მ. სულ 4764 მ. 26 კ.

მელიქოვი, მიხეილ ივანეს ძე: სახნავი, სათიბი და ტყე, 840 დესიატინა 2180 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიისა და მაზრაში, არაბატალა ფელიან-თაქიანი და სხ. თავ. ვალი 7311 მ. 46 კ. შემოსატ. 399 მ. 26 კ. სულ 7710 მ. 26 კ.

ორბელიანი, ვახტანგ ვახტანგის ძე: სახნავი, სათიბი, საძოვარი და ტყე, 1292 დესიატინა 1600 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიისა და მაზრაში, აბულმუყში. თავნი ვალი 5513 მ. 20 კ. შემოსატ. 298 მ. 6 კ. სულ 5791 მ. 26 კ.

ბაგრატიონ-მუხრანსკი, ივანე კონსტანტინეს ძე: სახნავი ადგილები და ტყე 660 დესიატ. 1800 ოთხ კუთხი საჟ. თიანეთის მაზრის აგარაკს ბოტკოს. თავ. ვალი 11026 მ. 40 კაპ. შემოსატ. 518 მ. 40 კ. სულ 11545 მ. 20 კ.

პოლტარაცკი, ალექსანდრე ეგნატეს ძე: სახნავი მიწები, ვენახი, საბოსტნე ადგილები და შენობები 148 დესიატინა 900 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. ოქროყანაში. თავნი ვალი 6518 მ. 4 კ. შემოსატ. 403 მ. 76 კ. სულ 6921 მ. 80 კ.

პოლტარაცკი, ივანე ეგნატეს ძე: ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფებით, ეზოთი, წყაროს წყლით და ერთ დესიატინამდის მიწით. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. ოქროყანაში. თავნი ვალი 1862 მ. 35 კ. შემოსატ. 153 მ. 16 კ. სულ 2015 მ. 51 კ.

წერეთელი, ბაგრატ მიხეილის ძე: საძოვარი ადგილები და ტყე, 1020 დესეტინა 1920 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფელ ზემო ხოდაშენთან. თავნი ვალი 8222 მ. 43 კ. შემოსატ. 369 მ. 46 კ. სულ 8591 მ. 89 კ.

გაბაშვილი, იოსებ დავითის ძე: სახნავი, საძოვარი და სამოსახლო მიწა 148 დესიატინა 1869 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. ოქროყანაში. თავნი ვალი 5138 მ. 76 კ. შემოსატ. 316 მ. 28 კ. სულ 5455 მ. 4 კ.

თარხან მოურავი, ნიკოლოზ გრიგოლის ძე, სახნავი, საძოვარი და საბოსტნე ადგილები და სათიბი, ზომით 233 დესიატინა და 956 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში სოფ. ლისში თავნი ვალი 5138 მ. 76 კ. შემოსატ. 421 მ. 36 კ. სულ 5560 მ. 12 კ.

ხიზანოვი, ლუკა ბიძინას ძე და სხვები: სახნავი, სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 714 დესეტინა 1320 ოთხ კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიასა თიანეთის მაზრაში, სოფ. ბოჭორმას. თავნი ვალი 2531 მ. 14 კ. შემოსატანი 118 მ. 38 კ. სულ 2649 მ. 52 კ.

ავ-სარქისოვი, ფარსადან იაკობის ძე, იარალოვი სერგეი ივანეს ძე და ფირო და მელიქსედექ ოსეფის ძენი სახნავი, სათიბი და საძოვარი, 623 დესიატინა 888 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზ. სოფ. სკრაში თავ. ვალი 12189 მ. 46 კ. შემ. 543 მ. 99 კ. სულ 12731 მ. 45 კაპ.

გედევანოვი, ეკატერინე ივანეს ასული: სახნავ-საძოვარი, სათიბი ადგილები და ტყე, 111 დეს. 1560 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. მუხათ-გვერდს. თავ. 937 მ. 99 კ. შ. 92 მან. 52 კაპ. სულ 1030 მან. 51 კაპ.

ყარაევი, ნიკოლოზ ანდრიას ძე: სახნავი, საძოვარი, სამოსახლო და საბალე ადგილი და მიშენებული, ზომით 134 დეს. 800 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. მაზ. სოფ. წავკისში. თავნი 3563 მან. 27 კაპ. შემ. 164 მან. 07 კაპ. სულ 5527 მან. 34 კაპ.

მეჩითოვი, იაგორ, დარჩო და ნინო დარჩოს ძენი და სხვ. სახნავ-საძოვარი ადგილები ზომით 151 დესიატ. 657 ოთხ-კუთხი საჟ. გორის მაზრის სოფ. ნაწრეტში. თავნი ვალი 3280 მან. 79 კაპ. შემ. 151 მან. 79 კაპ. სულ 3432 მან. 58 კაპ.

ორბელიანი, ვახტანგ ვახტანგის ძე: სახნავი, საბალახე და ტყე 1977 დეს. 1280 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიაში და მაზრაში, ძველ დუმანისში, საფარლოსა და ვარძევანის სოფლებში. თავ. ვალი 13125 მან. 11 კაპ. შემ. 759 მან. 56 კაპ. სულ 13884 მან. 67 კაპ.

გაბაშვილი, იოსებ დავითის ძე: სახნავ-საძოვარი და სამოსახლო ადგილები, 178 დეს. 2011 ოთხ-კუთხ საჟ. ტფილისის გუბერნიაში და მაზრაში, სოფ. საგაბაშვილოსა და თხინი ვალში. თავ. ვალი 2312 მან. 47 კაპ. შემ. 133 მან. 18 კაპ. სულ 2965 მან. 65 კაპ.

ანდრონიკოვი, რევაზ იოსების ძე: სახნავ-საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 1053 დეს. 1440 ოთხ-კუთხი საჟ. თელავის მაზრაში, აგარაკს ზემო-ხოდაშენს. თავნი ვალი 2812 მ. 47 კაპ. შემ. 138 მან. 24 კაპ. სულ 2950 მან. 71 კაპ.

მელიქოვისა, მარიამ გრიგოლის ასული: სახნავი, საძოვარი, სათიბი და სამოსახლო ადგილები და ტყე, ზომით 1559 დესიატ. 760 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერ. და მაზრას. სოფ. თობლიკილისსა, სადახლოსა და ქვემო ცოპისა. თავ. ვალი 26334 მან. 85 კაპ. შემ. 1561 მან. 22 კაპ. სულ 27896 მან. 07 კ.

ციციშვილი, დავით ივანეს ძე: საძოვარი, ხეხილიანი ვენახი და შენობანი 87 დესიატ. 960 ოთხ კუთხი საჟ. ტფილისის გუბერ. გორის მაზრაში სოფელ ქვემო-ნიჩბისში. თავნი ვალი 3774 მან. 08 კაპ. შემ. 175 მან. 46 კაპ. სულ 3942 მან. 54 კ.

ორბელიანი, ვახტანგ ვახტანგის ძე: სახნავი, საძოვარი და სათიბი ადგილები 1434 დესიატ. 1120 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, ძუსიყალასა და შინდლისში თავნი ვალი 10378 მან. 24 კაპ. შემ. 468 მან. 28 კაპ. სულ 10846 მან. 52 კაპ.

ავალოვისა, ოლგა ედუარდის ასული: სახნავი მიწა 12 დეს. 2320 ოთხ-კუთხი საჟ. დუშეთის მაზრის, სოფ. საშაბუროს. თავ. ვალი 754 მან. 78 კ. შემ. 84 მან. 05 კაპ. სულ 838 მან. 83 კ.

თარხან-მოურავი, ელენე ალექსანდრეს ასული: სახნავ-სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 154 დესიატ. 1645 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და გორის მაზრ., სოფ. სათუხარლოში. თავნი ვალი 6321 მან. 02 კაპ. შემ. 283 მან. 23 კ. სულ 6640 მან. 25 კაპ.

ხმიადოვი, ვასილ ეფრემის ძე: სახნავ-სათიბი ადგილები, ზომით 145 დესიატ. 1756 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიას და გორის მაზრას, სოფ. ნაწრეტს. თავნი ვალი 2830 მან. 42 კაპ. შემ. 131 მან. 21 კაპ. სულ 2961 მან. 63 კაპ.

ერისთავი, ესტატე მირიმანოზის ძე: სახნავი და საძოვარი ადგილები 280 დესიატ, 2006 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა, გორის მაზრის სოფ. ახსისში. თავნი ვალი 7547 მან. 75 კაპ. შემ. 406 მან. 08 კაპ. სულ 7953 მან.

კობიაშვილი, ეფრემ ტუზანას ძე: სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე 42 დეს. 285 ოთხ-კუთხი საჟ. დუშეთის მაზრის აგარაკს მილახვარიანთკარში. თავნი ვალი 283 მ. 72 კ. შემოსატანი 30 მან. 25 კაპ. სულ 313 მან. 97 კაპ.

ბ) სესხნი გამოცემულნი ურთიერთობრივის თავდებობით.

ა) ქალაქის მამულები

ბარნოვი, მიხელ ვასილის ძე: ორსართულიანი ქვითკირის სახლი, ორი ფლიგელი და მიწა 199$^4/_{10}$ ოთხ-კუთხი საჟ. 3 ნაწილში, 1 განყოფილებაში; ქ. ტფილისს, იარმუკის შესახვევში. თავნი ვალი 5561 მ. 05 კ. შემ. 292 მან. 42 კ. სულ 5592 მ. 67 კაპ.

რომანოვი, გერმოგენ მარკელის ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ერთ-სართულიანისავე ქვითკირის ფლიგელით. სარდაფითა და სარაიით, მიწის ზომა 215 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისს, 1 განყოფ. 10 ნაწილში. თავნი ვალი 5742 მან. 01 კ. შემოსატანი 390 მან. 35 კაპ. სულ 6148 მან. 36 კაპ.

ლიხოტინსკები, ვასილ გერასიმეს ძე და მარიამ ალექსანდრეს ასული: სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფიანის სართულით, მიწა ზომით 112$^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. მეათე ნაწილში, მე-2 განყოფილებაში მიხეილის ხიდზედ, ქ. ტფილისს. თავნი ვალი 15809 მან. 73 კაპ. შემოსატანი 1032 მან. 11 კაპ. სულ 16841 მან. 84 კაპ.

პოროვიროვი, თეოპემტე პროკოფის ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფიანის სართულით, მიშენებულითა და ყოველისავე მოწყობილებით, მიწა 105 ოთხ-კუთხი საჟ. 12 ნაწ. 2 გან. ჩუღურეთსა და კვირაცხოვლის ქუჩაზე ტფილისს. თავნი ვალი 3193 მან. 87 კაპ. შემოსატანი 81 მ. 50 კაპ. სულ 3275 მან. 37 კაპ.

(იხ. მე-5 გვერდი)

Доз. Цен. Тифлисъ, 18-го Мая 1891 г. Типографія Я. А. Мансветова, на Лорисъ-Melик. ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.